საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე კუმურდოელი

იოანე კუმურდოელი, კუმურდოს ეპისკოპოსი X ს-ში. მისი თაოსნობით აშენდა კუმურდოს დიდი საკათედრო ტაძარი (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

ი. კ. მოხსენიებულია ტაძრის 964–967 სამშ. წარწერაში. შემდეგ მოღვაწეობდა სინას მთაზე ქართველთა მონასტერში, სადაც თავისი ხარჯითა და თაოსნობით გადააწერინა არაერთი ხელნაწერი (სვიმეონ სალოსის ცხოვრება, იადგარი გამოკრებილი და სხვ.).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

ბ. ლომინაძე